№ 196

1877—1897

კვირა, 21 სექტემბერი, 1897 წ.

# ივერია

**გაზეთის ღირს:**

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 | — | 6 . . . | 6 | — |
| 11 . . . | 9 | 50 | 5 . . . | 5 | 50 |
| 10 . . . | 8 | 75 | 4 . . . | 4 | 75 |
| 9 . . . | 8 | — | 3 . . . | 3 | 50 |
| 8 . . . | 7 | 25 | 2 . . . | 2 | 75 |
| 7 . . . | 6 | 50 | 1 . . . | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

№ 196

კვირა, 21 სექტემბერი, 1897 წ.

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

**გაზეთის დასაბარებლად**
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას

**ფასი განცხადებისა:**
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

კვირას, 21 სექტემბერს,

## თავადის ნიკოლოზ დავითის ძის დიასამიძის

გარდაცვალების მეორმოცე დღეს, ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკკლესიაში, გარდახდილ იქმნება წირვა და პანაშვიდი.
(2—178—2)

ტფილისის სასოფლო სამეურნეო საურთიერთო ნდობის

## საზოგადოებისაგან

კრედიტის გასაადვილებლად და დამფასებელთა მისვლა-მოსვლისათვის საჭირო ხარჯის შესამცირებლად საზოგადოების მმართველობამ ამ შემოდგომიდგან მიიღო წესად: ჰგზავნოს ხოლმე სოფლებში აგენტები დასათვალიერებლად და დასაფასებლად ქირნახულისა, როცა რომელიმე მაზრიდგან საკმაოდ მოგროვდება სესხის მსურველთა თხოვნა.

ამის გამო მმართველობა მოიწვევს საზოგადოების წევრთ, რომელთაც ფულის გატანა ჰსურთ, დაეჩქარონ და დროზედ გამოგზავნონ თავიანთი განცხადება.

### საზოგადოება ახდევინებს:

| | |
|---|---|
| ნაჭირნახულევის გირაოთი გატანილ ფულში . . | 9% |
| თამასუქით გაცემულ ფულში . . . . | 9½% |

### თვითონ-კი აძლევს სარგებელს:

| | |
|---|---|
| მიმდინარე ანგარიშით შემოტანილ ფულში . . | 2½% |
| ექვსის თვის ვადით შემოტანილ ფულში. . . | 4% |
| ერთის წლის ვადით შემოტანილ ფულში. . . | 5½% |

(5—6.—4).

## ქართული თეატრი

ქართული სცენის მოყვარეთა ამხანაგობის

## ანტრეპრიზა

21 სექტემბრიდგან დილის 10—2 საათამდე თეატრის კასსაში ისყიდება **აბონიმენტის ბილეთები** დაკლებულის ფასით:

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ლოჟა ლიტერისა ქვევითი | 12 მ. 50 კ. | მაგიერ | 10 | მანეთად | |
| „ „ ზევით | 11 — — — | „ | 8 | „ | |
| „ ბენუარისა . . . | 7 — 40 — | „ | 6 | „ | |
| „ ბელეტაჟში პირდაპირ | 6 — 40 — | „ | 5 | „ | |
| „ „ გვერდისა | 5 — 40 — | „ | 4 | „ | |
| სავარძელი 1 რიგისა . . | 3 — 10 — | „ | 2 | „ | 20 კ. |
| „ 2 და 3 „ . . | 2 — 10 — | „ | 1 | „ | 70 „ |

აბონიმენტი ისყიდება 10 და 20 წარმოდგენისათვის
პირველი წარმოდგენა დანიშნულია 28 სექტემბერს
(4—6.—1)

ქართული თეატრი
კვირას, 21 სექტემბერს,
ქართულ დრამატიულ არტისტ. წარმოდგენილი იქმნება:

### „ვაის გავეყარე ვუის შევეყარე“

კომ. 3 მოქ., გადმ. ვალ. გუნიას-მიერ.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი ჩერქეზიშვილისა, კუნდელი, ბ-ნნი აბაშიძე, სვიმონიძე, გედევანოვი, შათირიშვილი და ადამიძე.

დასასრულ

### დივერტისმენტი

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნი განდეგილი, თავ. გრ. აბაშიძე, ბ-ნნი არ. ახნაზაროვი და ადამიძე.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია.

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

**ყ. მ. ჩიქოვანი**, 9—10 საათ. სნეულებანი: შინაგანი, თვალისა და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასიანცი.**—დილის 11—12 ს. ქალთა სენით და ბავშვების ავადმყოფებს.

**ა. პ. კარაპეტიანცი.** 1—1½ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

**ა. გ. გურკო.** დღით 1½—2½ ს. შინაგანი, ყურის, ყელის და საშარდეს ავადმყოფობის.

საღამოობით:

**ა. მ. ზუდინოვი.** 6—7 საათ. შინაგან, ბავშვებისა და ნერვებისა.

**ტ. ი. რუდენკო**—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана*.
Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.
(წ)

ტფილისი, 20 სექტემბერი *)

ჩვენებური თათარი უფრო ეული კაცია, ვიდრე ფეხ-მოკიდებული მკვიდრი ბინადარი. ყოველივე მისი ჩვეულება, მიდრეკილება, ავი და კარგი საზნეო, თუ საეკონომიო, სულ ამ ეულობაზეა აგებული და დამყარებული, სულ აქედამ არის წარმომდინარი. თათარს ტანტალი, ხშირად აქეთ იქით უსაქმოდ სიარული, ადგილიდამ ადგილზე გადასვლა, ერთის ბინიდამ აყრა, მეორეზე ხელ-ახლად დაბინავება არამც თუ ეადვილება, თითქმის ჩვეულებადა აქვს გამხდარი. ეს გაადვილებული აყრა-დაყრა ხშირად იქამდე მიდის, რომ მთელი სოფელი დღეს რომ აქ არის, ხვალ იმ ადგილას სოფლის ნატამალიც არა სჩანს, აყრილა და სხვაგან გადასულა დედა-ბუდიანად. არა ერთხელ და ორჯერ შეუნიშნავს ეს ამბავი ადგილის პოლიციას და პოვნა აყრილ სოფლელებისა გასჭირებია, როცა მთავრობას მოუკითხნია.

ეს ეულობა, ბინა-მოუკიდებლობა, ეს თითქმის ბოგანად სიარული, რა თქმა უნდა, ვერ გამოუნასკვავს ადამიანს იმისთანა ხასიათს, რომ დამჯდარი, დადგრომილი და მუდმივი მუშა-კაცი გამოვიდეს. ამიტომაც თათარი უფრო მწყემსია, გარედ მოარული, ვიდრე შინ მჯდომი, მუშა-კაცი. თათარი მწყემსად გადის მთელის თავისის სახლობით, წვრილ-შვილით, დედა-წულით. საცა სამწყოს საძოვარია, იქ იმისი ბინაა. ოჯახის შვილობა, ეკონომიური წელმაგრობა, ბინის მკვიდრად ერთს ადგილას მოკიდება, რომელიც ქართველ გლეხ-კაცისათვის იდეალია ცხოვრებისა, თათარს გუნებაშიაც არ გაუვლის. იგი მძიმე საქმის მუშა-კაცი არ არის. ხანგრძლივსა და გაუწყვეტელს გარჯას, შრომას გაურბის, არც უყვარს. მიწაში ოფლის ღვრას, მიწის ხანგრძლივს მუშაობას ბინისა და მიწის სიყვარული აქეზებს. თათარს არც ერთი მიაჩნია სამუდამოდ, არც მეორე და რამ უნდა შეაყვაროს დღეს ის, რასაც ხვალ ესე ადვილად თავს ანებებს უტკივრად, დაუნანებლად?

ბინისა და ადგილის უსიყვარულობა თათარს შინ ჯდომისათვის გულს უცრუებს. გული გარედ ეწევა. ამიტომაც თათრის თავ-მოსაწონებელი ცხენია და თოფ-იარაღი. რაკი თათარს ცხენი ჰყავს, თოფ-იარაღი აქვს, იგი კაცად იხსენება სოფელში, თუნდ შინ, ოჯახში ნატისუსალიც ასდიოდეს. ეულ-კაცობა, აქედ-იქით გარედ სიარული თათარს უფრო მეომარ კაცადა ჰხდის, ვიდრე მშვიდობიან მუშად. იგი კარგი ცხენოსანია, პატარაობითვე იწვრთნება ცხენოსნობასა და თოფ-იარაღის ხმარებაში. გარედ სიარული მთელის ოჯახობით ამას ხელს უწყობს. თათარი ვაჟ-კაციც არის, გულადია. ამასთან ტკბილი მოუბარია და საბუთიანი, წინად აწონილი სიტყვა-პასუხი იცის, ადვილად წაიტყუებს და აიყოლიებს კაცს, თუნდ საავაზაკოდ. იგი ხერხიანიც არის. სისხლის სამართლის ნაკლი საკმაოდ კარგადა აქვს შემჩნეული. იცის გზები, როგორ და რით დაიძვრინოს თავი, თუ ვინიცობაა დანაშაულობასა და ავ-კაცობაში როგორმე მოამწყვდია კანონმა. ფორმალური ფიცი სასამართლოს წინაშე თათარს არაფრად მიაჩნია. ამიტომაც უფროს-ერთი საქმე, რომელიც მოწმეებზეა დამოკიდებული, გამოურკვევი ჰრჩება და დამნაშავეც ხელიდამ უსხლტება მართლ-მსაჯულებას. ერთის სიტყვით, თუ კანონი, ბენტამისა არ იყოს, მართლა გაჭიმული ობობას ქსელია... თოკია, რომელსაც დიდი ზედ გადაახტება ხოლმე და პატარა ქვეშ გაუძვრება, თათარი კიდევ იგი პატარაა, რომელიც ზოგჯერ მოახერხებს ხოლმე ქვეშ გაუძვრეს. ამას ისიცა ჰშველის, რომ თათრებმა ერთმანეთის ხელის დაფარება ხშირად იციან. თათრებში ამისთანა ამბები სესხი და ვალია. წინადვე მომზადებული და გაფიცულნი მოწმები იშვიათი არ არის თითქმის ყოველ თათრის სასისხლო სამართლის საქმეში.

თათარმა თუ მიინდო ვინმე, ან თვით მიენდო, ძნელად თუ ღალატი და გაცემა მოუხდეთ ერთმანეთისა. თათარი ადვილად ემონება მას, ვინც მისს თვალში უფრო ჭკვიანია, გამოცდილი და ვაჟ-კაცი. თუ ბძანებლად მიიჩნია ვინმე, თათარი მისი ხმა-ამოუღებელი ყურ მოჭრილი ყმაა. კრებულად მოქმედებისათვის ეგ ხმა-ამოუღებლობა და ყმობა დიდი ციხე-სიმაგრეა. ამიტომაც კრებულად ავაზაკობა თათრისათვის ადვილად შესაძლებელია და ჩვეული ამბავიც არის. ძნელად შეხვდებით თათარს, რომ მარტოკა ჰთარეშობდეს. თვით წვრილმანი ქურდობაც-კი სხვებთან ერთად იცის. ძნელად თუ მარტოკა გავა საქურდლად და საპარავად.

თათარი, როგორც ოსი და ერთობ უფროს-ერთი სამხრეთის კაცი, გულ-ფიცხია. ისე კაცთან შესაყრელად დინჯია, თავ-დაჭერილი და თუ გნებავთ, თავაზიანიც. ხოლო თუ რამ აწყენინეთ, მალე აიმღვრევა და ხანჯალსა და თოფს მისწვდება. ჯავრის გულში ჩარჩენა იცის და ჯავრის ამოყრაცა. იგი ცოტად თუ ბევრად თავ მომწონეა, მეზობელს, თანასწორს არ დაეძლევინება, თუ ბედმა ერთმანეთს საქიშპოდ შეახვედრა. როგორ თუ იმან დამძლიაო, დამიბრიყვაო, ამის ჯავრსა და სირცხვილს ადვილად ვერ იტანს. წვა და გადაბუგვა ძნებისა, თივებისა და ზოგჯერ სახლ-კარისაც ჩვეულებრივი საქმეა ჯავრის ამოყრისა და ნიშნ-მიგებისათვის. თუ გაჭირდა, არც კაცის-კვლას მოერიდება გულზე მოსული და გაბრაზებული თათარი. ხშირად ამისთანა დანაშაული, სულ უბრალო საქმისაგან გამოწვეული, იძულებულ ჰხდის თათარს ავაზაკად გავარდეს, რადგანაც კანონის დევნისა და შიშისაგან შინ აღარ ედგომინება და სხვა გზა არა აქვს, თუ არ იავაზაკოს და კანონს გარედ არ დასდგეს. ამ მიზეზით ყაჩაღად გავარდნა იშვიათი არ არის ჩვენში.

ჩვენა ვთქვით, რომ ჩვენებური თათარი უფრო გარედ მოარული კაცია, ვიდრე შინ მჯდომი. ამიტომაც თათარს, რაც გინდ ღარიბი იყოს, კაი ჩაცმა-დახურვა უყვარს, კარგი იარაღი, კარგი ქამარ-ხანჯალი და ერთობ კარგი მორთულობა, რომ შნო და ლაზათი ჰქონდეს სხვის თვალში. ერთნაირის შეძლების კაცი რომ აიღოთ სხვა თესლისა, ქართველისა, სომხისა, თუ ოსისა, მორთულობით, მოკმაზულობით თათარი ყველას აჯობებს. რასაც თათარი მოანდომებს მოკმაზვას და მორთულობას, იმის ნახევარსაც ძლივ გამოიმეტებს სხვა თესლის კაცი. ხშირად ჰნახავთ თათარს ვერცხლით შემოსილ იარაღში ჩამჯდარს, ვერცხლის ქამარ-ხანჯლით გაწყობილს. ამ მხრით თათარს უფრო მეტი საჭიროება აქვს, რომელიც უფრო მეტს ხარჯსა და გასავალსა ჰთხოულობს, მეტს სარჩოსაბადებელს. ხოლო საკითხი ეს არის,—საიდამ რას ჰშოულობს თათარი, რომ სხვასთან ერთად უღელიც სწიოს წუთის სოფლისა და ნამეტანისათვის სხვაზე მეტი ჰხარჯოს? ამისი პასუხი მერე იყოს.

*) იხილეთ „ივერია“ № 194.

---

## მთავრობის განკარგულებანი

დანიშნულ იქმნენ: უმაღლესის კარის კამერჰერი დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკი თავადი შერვაშიძე და ტფილისის გუბერნატორი, დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკი ბიკოვი სასენატო მოსამართლეებად.

გადაყვანილ იქმნენ ფოსტა ტელეგრაფის კანტორის ფოსტალიონები ფოთისა—თავაძე და ბათუმისა კონსტანტინე შანავაძე—ფოსტალიონებად ზირველი-ქუთაისის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორაში და მეორე გორისაში.

დათხოვნილ იქმნენ: განჯის გუბერნიის, არეშის მაზრის უფროსი კოლეჟსკი სოვეტნიკი ზლოტნიცკი თა-

ვისისავე თხოვნით; ზაქათალის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის ფოსტალიონი ერმოლაოზ ნაკაშიძე, თავისისავე თხოვნით.

გადაყენებულ იქმნა თანამდებობიდგან ახალ ქალაქის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის მე VI ხარისხის მოხელე, კოლეჟსკი რეგისტრატორი ნიკოლოზ ლომჟანიძე.

## ახალი ამბავი

⁂ გვახსენებთ ჩვენს მკითხველებს, რომ დღეს, 21 სექტემბერს, ქართველ თავად-აზნაურთა თეატრში ქართველ სტუდენტის სასარგებლოდ დანიშნულია წარმოდგენა, რომლის შემდეგაც გამართული იქმნება დივერტისმენტი. დივერტისმენტში მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნი განდეგილი, თავ. გრ. აბაშიძე, ა. ახნაზაროვი და ალამიძე.

იმედია, ქართველი საზოგადოება თანაგრძნობით მიეგებება ამ წარმოდგენას.

⁂ ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკს რამდენიმე შუამდგომლობა აქვს დაწყებული მთავრობის წინაშე წესდების ზოგიერთ მუხლების შეცვლისა და სხვ. შესახებ, ამ ბანკის წევრთა საზოგადოების დადგენილების თანახმად. ბანკის გამგეობას განზრახვა აქვს გამგეობის ერთ ერთი წევრი გაჰგზავნოს პეტერბურგში შუამდგომლობათა გარდაწყვეტის ასაჩქარებლად. ხოლო ეს საგანი ჯერ გარდაწყვეტილი არ არის და არც ის არის გამორკვეული, თუ როდის ვინ წავა პეტერბურგს.

⁂ 15 ამ თვიდგან, ქალაქის სასაკლაოზედ საქონლის დაკვლა დღისით შემოიღეს. ყასბებმა თხოვნა მიართვეს ქალაქის გამგეობას და მოახსენეს, რადგანაც ჯერ ძლიერა ცხელა, დღისით დაკლულ საქონლის ხორცი მალე ფუჭდება და გთხოვთ, ნება მოგვეცეთ, რომ საქონელი ღამით დავკლათო. ქალაქის გამგეობამ ეს თხოვნა შეიწყნარა და 20 ენკენისთვეს დაადგინა, ახალ განკარგულებამდე საქონელი ღამ-ღამობით დაიკლას ხოლმეო.

⁂ პარასკევს, 19 სექტემბერს, „კავკაზის“ სასტუმროში ტფილისის საბჭოს „ოპოზიციას“ კერძო მოლაპარაკება ჰქონია, რომელზედაც დასახელებულ იქმნენ ქალაქის მოურავის თანამდებობის კანდიდატები. უმეტესობამ კ. მ. ალიხანოვი და თ. გ. მ. თუმანოვი დაასახელა, ხოლო უმცირესობამ—ა. ა. ივანენკო და ლ. ა. მღებროვი.

⁂ გუშინ, 20 სექტემბერს, ბრალმდებლის ამხანაგმა თავისი უკმაყოფილება განაცხადა აზნ. შაბურიშვილების საქმეზედ ოლქის სასამართლოს გარდაწყვეტილების გამო, რომლისათვისაც ბ-ნ დ. ი. კეზელს ტობოლსკის გუბერნიაში გაგზავნა აქვს ოლქის სასამართლოს მიერ გარდაწყვეტილი.

⁂ როგორც გაზ. „Чер. Вѣст.“ იუწყება, ბათუმის ახლად დაარსებულ გიმნაზიაში სულ 119 მოსწავლე იქმნა მიღებული. მათ შორის მოსამზადებელ კლასში—46, პირველს კლასში—42 და მეორეში—31. ქართველი 43 კაცი შესულა: მოსამზადებელ განყოფილებაში—19 პირველს კლასში—14 და მეორე კლასში—10.

⁂ ტფილისის ქურდ-ბაცაცებმა ახლა ათას გვარ ხრიკებსა და მოტყუებათუნებას მიჰმართეს ხალხის გასამარცვავად. აი, ამას წინად რა ამბავი დაჰმართეს შუშის გაჭარს, ოზურგეთის მაზრის სოფ. ჩოჩხათის მცხოვრებელს გლეხს გერასიმე მაჟიას ძეს კვირტიას. დაწვრილებით ამ საქმის გარემოება, როგორც თვით კვირტიას საჩივარიდგანა სჩანს, შემდეგია:

კვირტიას ტფილისში ჰყოლია ცალკე მოხელე ებრაელი მიხეილ კაკანაშვილი, რომელიც შუშის მუშტარსა ჰმოულობდა. ამ ებრაელისათვის იარმუკაზედ ტრაქტირის პატრონს გიორგი ოქროს ძეს კვესელიძეს უთქვამს, რომ ასი საჟენი შუშა მინდა და მაჩვენე შუშის გაჭარი კვირტია, მოვურიგდებიო. წამოუყვანია ებრაელს კვესელიძე კვირტიას ბინისაკენ პარასკევს, 12 სექტემბერს, და ისიც ალექსანდრეს ბაღში შეხვედრია. აქ სიტყვა-მოჭრით მოულაპარაკნიათ, შემდეგ საღამოზედ ჩამოსულან დვინის სარდაფში ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ ებრაელი კაკანაშვილი, კვესელიძე, კვირტია და ორიც სხვა, სახელდობრ, ტფილისის მცხოვრებელი ვასილ გაბრიელის ძე პლეუხნიკოვი და დუშეთის მაზრის სოფ. ანანურის მცხოვრებელი იოსებ ივანეს ძე ბარათაშვილი, რომელნიც ტრაქტირის პატრონს კვესელიძეს გაუცნია კვირტიასათვის ჩემი ამხანაგები არიანო. აქ ღვინო დაულევიათ და წასულ წამოსულან.

შაბათს, 13 სექტემბერს, პირობისამებრ, კვლავ თავი მოუყრებიათ კვესელიძის ტრაქტირში. აქ მორიგებულან, რომ კვირტიამ ასი საჟენი შუშა უნდა ჩააბაროს აჯამეთის სადგურზედ საჟენი 20 მან. აქვე კვესელიძეს 25 თუმანი ამოუღია, გარდაუცია იოსებ ბარათაშვილისათვის და უთქვამს, მე ვეღარ წამოვალ და შენ გაჰყევ კვირტიას აჯამეთში ამაღამაო. იქიდგან რომ დაბრუნებულან, პირობა დაუდვიათ, რომ საღამოს 5 საათზედ შევიკრიბნეთ ვერაზედ ლუდხანაში და საღამოზედ გზას გავუდგეთო. ლუდხანაში შეკრებილან კვირტია, ებრაელი კაკანაშვილი, ბარათაშვილი და პლეუხნიკოვი და ლუდი უსვამთ. აქვე ამოუღია კვირტიას ქისა და კაკანაშვილისათვის 25 მან. მიუცია გასამრჯელო ამ საქმის გარიგებისათვის და უთქვამს, ერთს ამდენსაც, ფულს რომ მივიღებ, მაშინ მოგცემო. კარგა დაბინდებულა, რომ ისევ ლუდი უსვამთ. სულ 3 მან. ლუდი დაულევიათ. ბოლოს ბარათაშვილს გამოუცხადებია კვირტიასათვის, რომ მე საქმე მაქვს, აჯამეთში ვერ წამოგყვები და აი, პლეუხნიკოვი წამოვა, ესეც ჩვენი ამხანაგიაო. აუღია იქვე და პლეუხნიკოვისათვის გადაუცია კვესელიძისაგან მიღებული 25 თუმანი.

ამასობაში გერასიმე კვირტიას თავი დამძიმებია და გამოუცხადებია, გზას გავუდგეთო. ამ დროს კიდა გადაცილებული ყოფილა კიდეც მატარებლის წასვლისა, მაგრამ კვირტია დაურწმუნებიათ, ეხლაა დროაო, მოუყვანიათ ეტლი და შიგ კვირტია და პლეუხნიკოვი ჩამსხდარან. კვესელიძე და ებრაელი კაკანაშვილი მეორე დღეს უნდა წასულიყვნენ თურმე აჯამეთში. ვერის ხიდს რომ გამოსცილებიან, პლეუხნიკოვი სადღაც სასმელის დუქანთან ეტლიდგან ჩამომხტარა და შესულა. იქიდგან ცოტა ხნის შემდეგ ამოსულა პოლიციელი, ასულა ეტლზედ, მოსჯდომია გვერდით კვირტიას და ხანჯალში ხელი წაუვლია.

— სად წავიდა ის კაცი, შენთან რომ იჯდაო? უკითხავს.

— არ ვიცი, აქ ჩავიდა, სარდაფშიო! უპასუხნია კვირტიას.

— ის კაცი ყალბის ფულის მკეთებელია და ერთი თქვა დავკმებთ. პოლიციაში უნდა წამომყვეო.

ეტლი გაუბრუნებიათ წყლის პირა ქუჩისაკენ. ზემოდ მოხსენებული ამბავი მიხეილის ქუჩაზედ მომხდარა, თუ წყლის პირის ქუჩაზედ, კვირტიას აღარ ახსოვს. გზაზედ რაღაც სახლთან დაუყენებია პოლიციელს ეტლი და უთქვამს, ბოქაული აქ არისო. შესულან. დახვედრიათ ვიღაც ბოქაულის ტანისამოსიანი კაცი. იმას უთქვამს:

— შენ კი ბოროტ მომქმედი არა სჩანხარ, მაგრამ რაკი იმასთან ყოფილხარ, ყალბ ფულს შემოგასტყუებდნენო.

— არა, ყალბი ფული მე არა მაქვს, 44 თუმანი მაქვს და ესეც ვაჭარ ალექსანდრე აკოფოვისაგან მივიღე, ყალბი რად იქნებაო, უპასუხნია კვირტიას.

ბოქაულს გამოურთმევია ეს ფული და გამოუცხადებია: ეს სამი ათ-თუმნიანი ნამდვილია, დანარჩენი ყალბია და შეუძლებელია აკოფოვს მოეცეს შენთვისაო. მე აკოფოვს კარგად ვიცნობ, არ მინდა ამისთანა უსიამოვნო საქმეში გავხვიო და წავიდეთ იმასთან, თუ ის უარს არა ჰყოფს მაგ ფულის მოცემას, გერწმუნებიო. ჩაუდვია ეს 44 თუმანი ჯიბეში, გვერდით მოსჯდომია ეტლში კვირტიას და წინ პოლიციელი დამჯდარა. გულ-დანდობილს კვირტიას არაფრის შიში არა ჰქონია, ბოქაული მომდევს თან, აკოფოვსა ვნახავთ და ფულს დამიბრუნებენო, და ლუდის სმისაგან თავ-გამობრუებულს ოდნავ ჩასთვლემია. უცბად უგრძვნია, რომ თავ-დაღმართზედ მიდიან, თვალები გამოუხილებია და უნახავს, რომ სადღაც ვიწრო ქუჩაში იმყოფებიან. უფიქრია, აკოფოვს აქ რა უნდაო, წამომდგარა ეტლზედ და ეტლი შეუყენებია. ამ დროს ცრუ ბოქაულსა და პოლიციელს ხელი უკრავთ, ეტლიდგან მირს გადმოუგდიათ, თითონ-კი ეტლითვე ისე სწრაფად გაქცეულან, რომ კვირტიას იმათის კვალისა ვეღარა გაუგია-რა.

ეს საქმე ამ ჟამად მესამე ნაწილის მომრიგებელ-სასამართლოს გამომძიებელსა აქვს ჩაბარებული გამოსაძიებლად. ვასილ პლეუხნიკოვი და იოსებ ბარათაშვილი უკვე დაპატიმრებულები არიან.

⁂ გუშინ, 19 სექტემბერს ტფილისის ოლქის სასამართლოს სისხლის სამართლის განყოფილების სესსია გორში წავიდა.

⁂ 26 სექტემბერს, ტფილისის სამოსამართლო პალატა, რომელიც შესდგება უფროს თავმჯდომარის ბ-ნ ვრასკისა, წევრების ბ-ნთ ფრანცევისა და კალბასინისა, ბრალმდებლის ამხანაგის ხლოდოვსკისა და მდივანის მირონოვიჩისაგან, ბაქოში მიდის ნაფიცის ვექილის სტაროსელსკის მოკვლის საქმის გასარჩევად. ეს საქმე პალატაში გადატანილ იქმნა ბრალდებულთა: მამედ-ირზა-ბეგ ბაკიხანოვისა, მაშადი-მამედ-ბეგ გაჯი რუსტამ-ბეგ-ოღლისა და ფატტახა აკიმ ოღლისაგან. ვექილებადა ჰყავთ: ბაკიხანოვს—ნაფიცი ვექილები პლევაკო, მირონოვი და კერძო ვექილი ჩილიანცევი, ფატტახა აკიმ-ოღლის—კერძო ვექილი—გურსკი და მაშადი-მამედს—ნაფიცი ვექილი პუცილლო. ამ საქმისათვის დაბარებულია 12 მოწმე, მათ შორის 4 პოლიციის ბოქაული, ერთი ბოქაულის თანაშემწე და ერიც პოლიციის მოხელე, რომელიც ბაქოს ციხეშია დაპატიმრებული. საქმის გარჩევა რამდენსამე დღეს გასტანს.

⁂ გაზ. „Свѣтъ“-ის სიტყვით, კავკასიისა და ყირიმის ღვინის მწარმოებელთ განუზრახავთ სასწავლებელი დააარსონ პეტერბურგის მახლობლად ღვინის კეთების ხელის მცოდნეთა მოსამზადებლად.

⁂ სოფ. ჯვარცმა (გურია). ერთად ერთი მოკლე გზა გვაქვს ჩვენის სოფლიდგან ეკკლესიამდე. დღემდის ყველა ამ გზით დაიარებოდა, მაგრამ ეხლა იძულებულნი ვართ სხვა გზა ამოვირჩიოთ, რადგან ამ გზით შეუძლებელია სიარული. სიხარბემ აიძულა ზოგიერთი ვაჟბატონები და გაიკეთებინა ზედ გზის პირად საჭიროების ადგილები; კაი სუნი რომ მიუვათ, მაშინ აჰკვეთამენ ამ გზით სიარულს და კარგა ბლომად მამულს შევიმატებთო. ამას გარდა, ჩაამწკრივეს ხეები და ისე დაუახლოვეს ერთმანეთს, რომ არამც თუ ურემს, ერთს ადამიანსაც ძლივს და შეუძლიან სიარული, ნეტა ბოლო არ მოეღება ამ თავგასულობას?!..

⁂ სოფ. სანება-მთა, (კავკავის მაზრა). აქაურ თმენიყავას თბილ წყალზედ მოელიან უცხოელ სტუმრებს, გეოლოგებს, ოც-და ხუთ კაცს. სოფელი მშვენივრად ემზადება მამა-პაპურის პურ-მარილით უცხო სტუმრების დასახვედრად. აქაურს მთებში ნაკლები მოსავალია, მომეტებულად თივა საქონლის საკვები მოვიდა ნაკლებად.

⁂ ჭიათურა. 10 სექტემბერს ჭიათურაში ჩამოვიდა რვა გეოლოგი, რომელთაც თან ახლდა ინჟენერი ცეიტლინი. დაათვალიერეს შავის ქვის მადნები და აგრეთვე ნახეს შტეიგერის კარპე მოდებაძის მიერ შავის ქვის მღვიმეში აღმოჩენილი რაღაც ცხოველის გაქვავებული ძვალი ბ-ნს ჩუბინიძის ადგილში. შუადღის მატარებლით უკანვე გაბრუნდნენ პატივცემული მოგზაურები.

⁂ ს. ბრეთი, (გორის მაზრა). ბრეთი მეტის-მეტად უსუფთაო სოფელია. აქ გამვლელი კაცი ერთის შეხედვით შეატყობს, რა უმსგავსად არის ჩახხირული სახლებსა და სახლებს შორის საქონლის სადგომი ბოსლები და ბაკები, რომელნიც სავსეა ათასნაირი ბინძურებით. უსუფთაობის გამო ბრეთი სხვა-და-სხვა ავადმყოფობის ბუდედ არის გადაქცეული. შარშან აქ საოფლე იყო გავრცელებული; წრეულს გაზაფხულზედ ყვავილმა და წითელმა აუარებელი ბავშვები დამუსრა და ამ ჟამად კიდევ მთელ სოფლად მოდებულია ერთ გვარი ავადმყოფობა, რომელსაც ხალხი მუცელას უძახის. საჭიროა ამ გარემოებას ყურადღება მიექცეს.

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბები)

**ჭიათურა**, (შორაპნის მაზრა). ჭიათურას აღმოსავლეთის მხრით ორი ვერსის მანძილის დაშორებით იმყოფება მღვიმის დედათა მონასტერი, რომელიც მაღალი კლდის შუა ალაგას მერცხლის ბუდესავით არის მიშენებული ყვირილის ხეობაში. ამ მონასტრის გაშენებას მიაწერენ XIII საუკუნეში რაჭის ერისთავს რატი კახაბერიძეს და იმისს მეუღლეს რუსუდანს. შესანიშნავია ხუროთ-მოძღვრებით ამ მონასტრის თლილის ქვის შენობა სხვა-და-სხვა გვარის ჩუქურთმების სახით აჭრელებული და აგრეთვე ამ მონასტრის „ვაზის კარები“. რა თქმა უნდა, ძველის ძველადგანვე, როგორც საქართველოს სხვა მრავალ განათლების ბუდედ ცნობილ მონასტრიდგან, ისე აქედგანაც წარსულ საუკუნოების განმავლობაში ხალხში ვრცელდებოდა საეკკლესიო და საერო განათლება. ოთხის წლის წინად ამ მონასტრის იღუმენიის, აწ განსვენებულის ელენეს თაოსნობით დაარსდა ერთ-კლასიანი სამრევლო სკოლა სამის წლის კურსით, სადაც ყოველ წლობით ორმოცდა ათამდე ქალ-ვაჟი იძენდა პირველ დაწყებითს განათლებას. მოსწავლეთა უმრავლესობას ქალები შეადგენდნენ დაახლოვებით ოთხ-მეხუთედს ნაწილს; ესენი სასკოლო გაკვეთილების სწავლის შემდეგ მონაზონთა ხელმძღვანელობით სწავლობდნენ სამაგალითო ოქრო-მკედით ქარგვა-ქსოვას, ჰრაკერვას და სხვა-და-სხვა. მღვიმის დედათა მონასტრის სამრევლო სკოლის დაარსებიდგანვე მასწავლებლად განწესებულ იქმნა ბ-ნი ბ. ვაშაძე, რომლის სასახელოდაც უნდა ითქვას, რომ სკოლაში სწავლება წესიერს დონეზედ ჰქონდა დაყენებული, რაც-კი მოეთხოვება ერთ-კლასიან სკოლას სამის წლის კურსით. აი, ეს ზემოხსენებული სკოლა, როგორც ნამდვილის წყაროდგან შევიტყეთ, 1 სექტემბრიდგან გააუქმა მონასტრის გულ შემატკივარმა მმართველობამ, არ ვიცით რა მიზეზბისა გამო. მღვიმის დედათა მონასტერს დიდ-ძალი შავი-ქვიანი ადგილები აქვს, ეპოვება აგრეთვე ჭიათურაში სადუქნე ადგილები, რომლებზედაც მოიჯარადრეებს შენობები აქვთ გაშენებული და მონასტერს ყოველ-წლობით 5000—6000 მანეთი შემოსდის, ასე რომ საშუალების უქონლობაზედ აქ კრინტიც არ შეიძლება დასძრას კაცმა. ეს ერთი და მეორე მონასტრის შემოსავალი გროშიც რომ არ ვიანგარიშოთ, სკოლა ისეც ჰფარავდა თავისს დანახარჯს. 50 მოსწავლეთა შორის 40 იხდიდა სწავლის ფულს თითოეული ექვს მანეთს წელიწადში, დანარჩენს-კი არ ახდევინებდნენ სიღარიბისა გამო. აქედან შესდგებოდა 40×6=240 მანეთი, და მასწავლებელს-კი 200 მანეთზე მეტი არა აქვს ჯამაგირი. სხვა ხარჯი არაფერი არ ჰქონდა მონასტერს სკოლისათვის. მაშ რამ გამოიწვია სკოლის გაუქმება და რას უნდა მივაწეროთ ეს სამწუხარო გარემოება?

ჭორად დადის, ვითომ რაკი სკოლა დაარსებული იყო განსვენებულის იღუმენიას ელენეს მიერ, ამის გამო იქმნა გაუქმებული იგიო, მაგრამ, რასაკვირველია, ეს დასაჯერებელი არ არის. უეჭველია, მიზეზი რამ იქნება და კარგი-კია, რომ გამოირკვეს იგი.

სასურველია, რომ სასულიერო მთავრობამ მიაქციოს ყურადღება.

გ. ბერიძე

## წერილი კავკავიდგან

წარსულს მარიამობისთვეში აქ რამდენისამე კაცის მკვლელობა მოხდა. ჯერ პირველ რიცხვებში აქაურის თეატრის ახლო მოჰკლეს ერთი სპარსელი, რომელსაც ახლად ჰქონდა მიღებული მართლ-მადიდებლობა. საბრალოს ისე ძალიან თურმე უყვარდა დიდის მთავარ-მოწამე წმ. გიორგის მოთხრობა, რომ წმ. გიორგის ცხოვრებისა და წამების წიგნი უბეში უპოვნეს მკვდარს. ეს ახლად მონათლული სპარსელი თურმე ხშირად ამბობდა „ნეტავი მეც ღირსი გამხადა, რომ წმ. გიორგისავით წამებით მოვკვდეო“. მონათვლის წინად დაჰმუქრებოდნენ თათრები, მოუკლავს არ გაგიშვებთო. ერთი მოლა და რამდენიმე თათარია ამ საქმის გამო დაჭერილი და გამოძიება სწარმოებს.

ჯერ ამ მკვლელობის შესახებ არ გათავებულიყო ლაპარაკი, რომ სხვა უარესი მკვლელობა მოხდა. ერთმა კავკაველმა ყასაბმა, სახელად „მარტიშკამ“, მოჰკლა თავისი ცოლი. საბრალო მოკლულს ოცდა ორი ჭრილობა აღმოაჩნდა. გულქვავ ქმარს ჯერ გამოეფატრა ცოლი, მერე მკლავები დაესახსრა, ასე რომ თითქმის ყველა ასოში ჰქონდა დაკრული დანა თუ ხანჯალი. მერე ტომარაში ჩაედო და მდინარე თერგში გადაეგდო. თითონ-კი პოლიციაში გამოეცხადებინა: ცოლი გამექცა სადღაც და მიშველეთ რამეო. პოლიციას რომ ჩოჩქოლი შეუდგა, ამ დროს მოვიდნენ სხვები და გამოუცხადეს, რომ თერგში დაჩეხილი დედაკაცი ვიპოვნეთ, ტომარაში ჩადებულიო. პოლიცია მაშინვე დაფაცურდა და მალე აღმოჩნდა, რომ დაჩეხილი დედაკაცი „მარტიშკას“ ცოლი იყო. „მარტიშკა“ მაშინვე დააპატიმრეს, კითხვის დროს ჯერ უარს ამბობდა, მაგრამ მერე გამოტყდა; „რავქნა, იმის ცუდს ყოფა-ქცევას ვეღარ გავუძელი და იმიტომ მოვკალიო“. როგორც ხალხი ამბობს, „მარტიშკას“ და მის ცოლს ყოველდღე ჩხუბი და განხეთქილება ჰქონდათ და ორივენი ცუდი ყოფა-ქცევისანი იყვნენო თურმე.

მარიამობის თვის შუა რიცხვებში ოსების უბანში მოჰკლეს კიდევ ერთი ოსი, გვარად ფილაევი. ქურდებმა თურმე გარეთ გამოიხმეს საბრალო, მერე უცბად დასცეს თოფი და იქვე გაათავეს.

კავკავში გამომცხვარი პური გაძვირდა, პირველის ხარისხის 4 კაპეიკი გახდა და მეორესი—3 კაპეიკი. ფქვილი, რომელსაც წინად ხუთ და ათ შაურად ვყიდულობდით ხუთ-ფუთიანს ტომარას, დღეს რვა და ათი შაურია.

ქართველი ოსებში

## რუსეთი

—

შინაგან საქმეთა სამინისტრომ განკარგულება მოახდინა, რომ საგუბერნიო და სამაზრო ქალაქების საპოლიციო დაწესებულებათ შეატყობინონ ხოლმე ელჩებს გარდაცვალება ამა თუ იმ სახელმწიფოს ქვეშევრდომისა.

— ფინანსთა სამინისტროსთან კომისია არსდება, რომელმაც უნდა გამოარკვიოს საშუალებანი სავაჭრო საქონლის სიყალბესთან ბრძოლისა და სავაჭრო პოლიციის დაარსების შესახებ.

— სასულიერო უწყებას შუამდგომლობა დაუწყია დაარსებულ იქმნას ზოგიერთ შორეულ ეპარქიაში განსაკუთრებული სასწავლებლები— საპრაქტიკო კლასები საპედაგოგიო კურსით, რომელმაც ერთსა და იმავე დროს უნდა მოამზადოს მედავითნეები და სამრევლო სასწავლებლების მასწავლებლები.

— საერო განათლების მინისტრს მიუნდვია საერო განათლების სატეხნიკო და საპროფესიონალო სწავლულთა კომიტეტის განყოფილებისათვის პროექტის შემუშავება მაღალ სპეციალურ სასწავლებლების დაარსების შესახებ 1898—99 სამოსწავლო წლის დაწყებისათანავე, რადგან ეხლანდელი უმაღლესი სატეხნიკო ინსტიტუტები და სასწავლებლები არ აკმაყოფილებს უმაღლესის სპეციალურ განათლების მიღების მსურველთ.

— ჩინეთის ერთს ამხანაგობას აზრადა აქვს თურმე ვლადივოსტოკში გაზეთი გამოსცეს სამს ენაზედ: რუსულსა, ინგლისურსა და ჩინურზედ. ამ საქმისათვის უკვე გადაუდვიათ 60,000 მანეთი. სტამბისა და გაზეთის საქმის გამგებლად მიწვეულია ვლადივოსტოკის ოლქის სასამართლოს ჩინურის ენის თარჯიმანი ვ. მიხაილოვსკი.

— იმ 165 ქალთა შორის, რომელნიც უმაღლეს სამკურნალო კურსებზედ იქმნენ მიღებულნი, 50-ს უმაღლესი საპედაგოგიო კურსები დაუმთავრებიათ.

## უცხოეთი

—

**ავსტრი-უნგრეთი.** ბუდაპეშტიდგან იუწყებიან, რომ 8 სექტემბერს აქ ყუმბარა ააფეთქესო. ბოროტ-განმზრახველებს აზრად იმპერატორის ფრანც-იოსების მოკვლა ჰქონიათ. აი, გაზ. „Socolo“ რას იუწყება ამის შესახებ: როდესაც იმპერატორი სადგურზედ მიდიოდა იმპერატორის ვილჰელმის შესახვედრად, იმის ეტლის მახლობლად ყუმბარის ხმა მოისმა და იმ წამსვე კვამლი გამოჩნდა. იმპერატორი მაშინვე ფეხზედ წამოდგა და გაყვითლებულმა დაიძახა: „უფრთხილდით ახლო არავინ მიხვიდეთო.“ ხალხი საშინლად აირ-დაირია და გზა-კვალ დაბნეული აქეთ-იქით გაიქცა. პოლიციამ რამდენიმე კაცი დააპატიმრა.

— ამ დღეებში დეპეშამ ამბავი მოიტანა, რომ ავსტრი-უნგრეთის მინისტრ-პრეზიდენტს გრაფს ბადენს და პარლამენტის დეპუტატს ვოლფს დუელი ჰქონდათო. აი საქმე როგორა ჰყოფილა: პარლამენტის უკანასკნელს სხდომაზედ დეპუტატმა ვოლფმა გრაფ ბადენს საკიცხავი სიტყვები უთხრა თურმე. მეორე დღეს ბადენმა ვოლფს დუელში გამომწვევნი მიუგზავნა: კორპუსის უფროსი ისკული და საგენერალო შტაბის პოლკოვნიკი რეში. თავისის მხრივ ვოლფმა მოწმეებად აირჩია გერმანელთა საეროვნო დასის დეპუტატები ლემიშა და სილვესტრი. მოწმეთ დაადგინეს, რომ დუელი დამბაჩებით უნდა მოხდესო. სალამოს გრაფმა ბადენმა დეპეშა გაუგზავნა იმპერატორს, რომელშიაც სთხოვდა თანამდებობიდგან განმათავისუფლეთო. ამავე დროს მან ანდერძი დასწერა, ხოლო შინაურებსა და ნათესავებს არაფერი შეატყობინა. თვით დუელი ვენაში მოხდა ორის სამხედრო ექიმის თანადასწრებით. მებრძოლთ ერთსა და იმავე დროს გაისროლეს დამბაჩები. როგორც მკითხველებმა უკვე უწყიან, დაიჭრა ბადენი, ხოლო ვოლფი უვნებელი დარჩა. ბადენს ტყვია მარჯვენა მხარში აქვს მოხვედრილი, მაგრამ ძვალი არ დაჰზიანებია. მოწმეებმა დუელი დასრულებულად სცნეს და მებრძოლეებმა ერთმანეთს ხელი გაუწოდეს. შემდეგ ექიმმა ტყვია ამოიღო და ბადენი სახლში გაისტუმრეს. გაზეთები იუწყებიან, რომ დუელმა დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია ავსტრიაშიო. ყოველ დღე ბადენის სახლი ხალხით არის სავსე. ბადენის მომხრეებს აზრადა აქვთ, როდესაც მინისტრი მორჩენის შემდეგ პარლამენტში გამოჩნდება, დიდის ალტაცებით დაუხვდნენ. ბადენი პირველი მინისტრი ყოფილა ავსტრიაში, რომელიც დუელში გასულა.

—

**ისპანია.** როგორც ოფიციალურის წყაროებიდგანა სჩანს, ისპანიის მთავრობას კუნძულ კუბაში 1895 წლიდგან 1897 წლამდე 182 ათასი ჯარის კაცი გაუგზავნია, 6 ათასი აფიცერი და 40 გენერალი. ამავე ხნის განმავლობაში გადაუტანიათ 112 ათასი თოფი, 320 ათასი კილოგრამი თოფის წამალი, 92 მილიონი ტყვია, 17 ათასი ხმალი, 91 ზარბაზანი, 12 მსწრაფლ-მსროლი და 29 ათასი ყუმბარა.

—

**საბერძნეთი.** ათინიდგან დეპეშით ატყობინებენ გაზ. „Nevue Freie Presse“-ს: მინისტრთა საბჭო ზავის ხელშეკრულობის განხილვას უკვე შეუდგა, მაგრამ ჯერ არც ერთს გარდაწყვეტილებას არ დასდგომია. განსაკუთრებით ძალიან დააფიქრა მინისტრები ხელ შეკრულების მე-12 მუხლმა, რომელშიაც ნათქვამია, რომ თუ საბერძნეთმა არ მიიღო ხელშეკრულება, სახელმწიფონი შუამდგომლობაზედ ხელს აიღებენ და ურთიერთობა საბერძნეთსა დ ოსმალეთს შორის კვლავ გამწვავდება!.. სხვა გაზეთების სიტყვით, ბერძნები მეტად უკმაყოფილონი არიან ზავის პირველ დაწყებით პირობებით. რამდენმამე ათასმა კაცმა თავი მოიყარა ათინის ქუჩაზედ და შინაარსი ხელშეკრულობისა დასწვაო. ამავე კრებაზედ ერთმა ახალგაზდა კაცმა სიტყვა წარმოსთქვა, რომელშიც განაცხადა, რომ საბერძნეთი არასოდეს არ მიიღებს ზავის ასეთს პირობებსაო. ათინიდგანვე იწერებიან: „რამდენსამე დეპუტატს აზრად აქვთ პარლამენტის მომავალს კრებას შემდეგი წინადადება წარუდგინონ: პალატამ მადლობა გადაუხადოს სახელმწიფოთ იმ შრომისათვის, რაც მათ საბერძნეთსა და ოსმალეთს შორის ზავის შეკვრის საქმეში გასწიეს. მაგრამ ამასთანავე განაცხადეს, რომ საბერძნეთი ვერ მიიღებს ზავის პირობებს, რომელიც ამ ქვეყანას თავისუფლებას უსპობს და სთხოვს სახელმწიფოთ ნება დართონ საბერძნეთს, პირის-პირ მოელაპარაკოს ოსმალეთს და თვით მოარიგოს ყოველივე საქმე“.

## დამაკვირდი

ვინც სიჭაბუკეში განგებისაგან ნაჩვენებს გზას ერთხელაც არ გადასცდენია და არ გამოუცდია გრძნობა სინანულისა, იგი არც სულელი და არც ჭკვიანი არა ყოფილა.

მირზა-შაფი

***

თავი კუდს არ ელის.

რუს. ანდაზა

***

ვინც თქვენთან ლაპარაკის შემდეგ თავისის თავისა და ჭკუის კმაყოფილი განშორდებათ, ის თქვენიც კმაყოფილია.

ლაბრუიერი

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

საკერავ მანქანასაც, რასაკვირველია, შესაფერი მოვლა უნდა. ვინც ეს მოვლა არ იცის, მანქანა ხშირად უფუჭდება. რაღა თქმა უნდა, რომ თუ მანქანა მოიშალა, მეტი გზა არ არის, გასაკეთებლად უნდა მისცეთ. საჭიროა მხოლოდ, მანქანას ისე მოუაროთ, რომ ადვილად არ გაფუჭდეს და არ მოიშალოს. კარგად უნდა გახსოვდეთ, რომ საკერავი მანქანა უმიზეზოდ არ გაფუჭდება და არ მოიშლება. პირველი მტერი საკერავის მანქანისა მტვერია. ამიტომ მანქანას ხშირად უნდა გაწმენდა. ზემოდგან ადვილია მტვრის გადაწმენდა სუფთა ჩვრით. მაგრამ საქმე ის არის, რომ მტვერი შიგ მანქანაში ჩადის და მანქანას აფუჭებს. გაწმენდა ასე უნდა: აიღეთ ზეითუნის კარგი ზეთი (სხვა ზეთი არ გამოდგება) და ჩაასხით მანქანაში. მერე ჯერ მძიმედ ატრიალეთ მაშინა და თან და თან აუჩქარეთ. თუ მანქანაში ბევრი მტვერია, პირველად მანქანიდგან ძლიერ ჭუჭყიანი ზეთი გამოვა. ეს ჭუჭყი მჩვარით მოსწმინდეთ და კიდევ ზეთი ჩაასხით და მანქანა ატრიალეთ. ასე მოიქეცით იმ დრომდე, ვიდრე რაც ჭუჭყია მანქანაში, ზეთი სულ არ გამოიტანს და ბოლოს სუფთა ჩამოვა. თუ ვინიცობაა მანქანა დაჟანგებულია, აიღეთ თანაბრად ზეითუნის ზეთი და ნავთი, ერთმანეთში გადაურიეთ, ჩაასხით მანქანაში და ატრიალეთ. რომ მანქანა არ დაჟანგდეს და არ მოიშალოს, საჭიროა კვირაში ერთხელ ზეითუნის ზეთით გასწმინდოთ და თვეში ერთხელ მაინც ამავე ზეთითა და ნავთით. როცა მანქანას არა ჰხმარობთ, უეჭველად ხუფი დაჰხურეთ ხოლმე.

***

ცხენსა, ღორს, ძროხას და სხვა შინაურ საქონელს ხშირად უჩნდება ტილი, ტკიპა და სხვა მწერი, რომელიც ძლიერ აწუხებს საქონელს. ამ მწერის წინააღმდეგ მრავალი საშუალება არის, მაგრამ მათ შორის შემდეგი წამალია საუკეთესო: აიღეთ ნავთი და ამდენივე სელის ზეთი და ერმანეთში გადურიეთ. ხმარების დროს ჭურჭელი კარგად ააჭანჭყარეთ. დაასველეთ ამ წამალში სუფთა ტილო და კარგა მაგრა წაუსვით საქონლის ბალანს. მწერი სულ ერთიანად ამოწყდება.

## დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

20 სექტემბერი.

**პეტერბურგი.** ხელმწიფე იმპერატორი, ხელმწიფა იმპერატრიცა, დიდნი მთავრინანი ოლგა ნიკოლოზის ასული და ტატიანა ნიკოლოზის ასული, აგრეთვე დიდნი მთავარნი ვლადიმირ ალექსანდრეს ძე, მიხეილ ნიკოლოზის ძე და პიკოლოზ ნიკოლოზის ძე სპალაში წაბრძანდნენ.

**სიმლა.** ავღანის ემირმა ბრძანება გასცა, რომ აფრიდების ყველა წინამძღოლნი, რომელნიც კაბულში გაჩნდებიან, შეიპყრან ხოლმე.

**ბომბეი.** შავი ჭირი საშინლად ვრცელდება ბომბეიში. უკანასკნელ კვირის განმავლობაში 60 კაცი გახდა ავად. შავი ჭირი ხელ ახლად გაჩნდა კარჩშიაც.

**ათინა.** პალატის კრება დაიწყო 6 საათზედ. პალატის წინ აუარებელი ხალხი შეიყარა, რომელიც სტვენით მიეგება დელიანის. რალიმ პალატას წარუდგინა ხელშეკრულება, რომელსედაც უკმაყოფილება განაცხადა. შემდეგ მინისტრმა ისტორიულად განიხილა მოლაპარაკების მსვლელობა, განაცხადა უკმაყოფილება აგრეთვე საზღვრის და კანროლის შესახებ და თუმცა არ მოსთხოვა აალატას, რომ მან ხელშეკრულება მიიღოს, მაგრამ მოისურვა, რომ მან თავისი ნდობა განუცხადეს სამინისტროს. დელიანისმა უარი განაცხადა იმის შესახებ, რომ სამინისტროს ნდობა გამოეცხადოს. დელიანისის სიტყვებმა დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. ნდობის შესახებ საგანი უარ ყოფილ იქმნა 93 ხმის უმეტესობით 30 ხმის წინააღმდეგ. კაბინეტი თანამდებობას თავს ანებებს.

**კონსტანტინეპოლი.** სამხედრო სამინისტრომ განაცხადა, რომ ზავის შეკვრამდე საოპერაციო ჯარიდგან არავინ იქმნება დათხოვნილიო.

**სიმლა.** ჯეფრისის ბრიგადას ხელახლად შეტაკება ჰქონდა მტერთან აგრასა და სოტასთან. ცხარე ბრძოლის შემდეგ ორივე ადგილი განადგურებულ იქმნა. ინგლისელებს მოუკლეს პოლკოვნიკი, პორუჩიკი და 10 ჯარის-კაცი; დასჭრეს სამი აფიცერი და 38 ჯარის-კაცი.

**ათინა.** ზაიმისმა იკისრა კაბინეტის შედგენა. სკუდუსი ფინანსთა მინისტრად დარჩება. დელიანისმა განაცხადა, რომ ახალს კაბინეტს წინააღმდეგობას გავუწევო.

**მადრიდი.** საგასტამ განაცხადა რომ თანახმა ვარ კაბინეტი შევადგინოო.

პეტერბურგის ბირჟა, 19 სექტემბერი.

| | მყიდველისა | გამყიდველისა | ნაყიდისა |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ მანეთიანი ოქრო . . . . . | „ — | — „ | — „ |
| 5%.-ნი მომგებიანი გირავნობის ფურცლები სახელმწიფო სათავად-აზნაურო ბანკისა . . . | — „ | — „ | 203½ |
| 4½% გირავნობის ფურცლები იმავე ბანკისა . . | — „ | — „ | 100½ |
| 6% ფურცლები ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკისა . | 102 | — „ | — „ |
| 5% იმავე ბანკისა. | 99¼ | — „ | — „ |
| 6% ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკისა . . . . | 102 | — „ | — „ |
| 5% იმავე ბანკისა. | 99¼ | — „ | — „ |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა . . . | 99 | — „ | — „ |
| 5% პირველი შინაგან სესხის მომგებიანი ბილეთი . | — „ | — „ | 285¾ |
| 5% მეორე შინაგან სესხის მომგებიანი ბილეთი . | — „ | — „ | 246 |

## ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკისაგან

ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის მმართველობა, ბანკის 1881 წლის 17 თებერვლის წესდების მე-15 § ის თანახმად ამითი აცხადებს, რომ 23 ოქტომბერს ამა 1897 წლისას, დღისით, 12 საათზედ, ქ. ტფილისში, ბანკის სად-

გომში, ფრეილინის ქუჩაზედ, საჯარო ვაჭრობით გაისყიდება, ვაჭრობის განუმეორებლად, უძრავი ქონებანი ქვემოხსენებულთა, ბანკის წესდებით დადგენილ გარდასახადების შემოუტანლობისათვის, 13, 14, 15, 17, 18 და 19 §§ მებრ.

ვაჭრობა, ბანკის წესდების მე-18 §-ის თანახმად, ქვემოხსენებულ ვალის ჯამიდგან დაიწყება და მასვე მიემატება სავალო და სხვა გარდასახდელი ხარჯი. თავნი ვალი გრძელვადიანის სესხისა შეიძლება შემოიტანონ ამა ბანკის გირავნობის ფურცლებით, რომელიც მიღებულ იქმნება თავისის დარქმეულ ფასისამებრ მანეთი მანეთად და აგრეთვე შეიძლება ბანკის თანხმობით ვალი მყიდველზედ იქმნას გადატანილი; სავალო შემოსატანისა და სხვა გარდასახადისათვის-კი ნაღდი ფული უნდა იქმნას შემოტანილი.

ვინიცობაა ამ წლის 23 ოქტომბერს დანიშნული ვაჭრობა არ შესდგა, ბანკის წესდების მე 21 § ს საფუძველისამებრ, მეორე და უკანასკნელი ვაჭრობა იქმნება 7 ნოემბერს იმავე წლისას. ბანკის წესდების მე-16 §-ის თანახმად, გრძელ ვადიანის ვალის მსესხებელს ნება ეძლევა შემოსატანი, ზედ შეკეცილ სარგებლით ვადაზე შემოუტანლობისათვის, და აგრეთვე ყოველივე ხარჯი მამულის სავაჭროდ დანიშნისათვის ვაჭრობის დღემდე შემოიტანოს.

ქალაქის მამულები:

დოლუხანოვებისა, ამბარცუმ რომანის ძისა, ალექსანდრე და ნიკოლოოზ ამბარცუმის ძეთა, ხანდამიროვისა, სოფიო ამბარცუმის ასულისა და ნანოსოვისა, ანნა ამბარცუმის ასულისა: 2 ორ-სართულიანი სახლი სარდაფებით და ერთ-სართულიანი ფლიგელი სარდაფით, მიწა ზომით 125 ოთხ-კუთხ. საჟ., ანუ რამდენიც აღმოჩნდება, ქ. ტფილისის მე-5 ნაწილში, კათოლიკეთა და მოქალაქეთა (მეშჩანსკაია) ქუჩებზედ. თავნი ვალი 17,410 მან. 14 კაპ., გარდასახადი ვალი 1359 მ. 60 კ., სულ 18,769 მან. 74 კ.

კახკახიშვილისა, ზაქარია ივანეს ძისა: ერთ-სართულიანი სახლი სარდაფით, ორ-სართულიანი კოშკი, ერთ-სართულიანი ფლიგელი და შენობა, მიწა ზომით. 1,800 ოთხ-კუთხი საჟ. ქალ. თელავში. თავ. ვალი 3750 მ. 33., გარდ. ვალი 350 მ. 89 კ., სულ 4101 მ. 22 კ.

კახკახიშვილისა, დიმიტრი ზაალის ძისა: ორ-სართულიანი სახლი, ორ-სართულიანის ნაწილით, ერთ-სართულიანი ფლიგელი სარდაფით, მიწა ზომით 1 დეს. 860 ოთხ-კუთხი საჟ. ანუ რამდენიც აღმოჩნდება ქ. თელავში. თავ. ვალი 4687 მ. 92 კ., გარდ. ვალი 437 მ. 14 კ., სულ 5125 მ. 06 კ.

კახკახიშვილი, გიორგი სულხანის ძე: ორ-სართულიანი სახლი, ორ-სართულიანი კოშკი, ერთ-სართულიანი მიშენებული და საეზოვო შენობანი, მიწა ზომით 1730 ოთხ კუთხი საჟ. ქ. თელავში. თავ. ვალი 3303 მ. 95 კ., გარდ. ვალი 305 მ. 62 კ., სულ 3609 მ. 57 კ.

ჩერქეზიშვილისა, დარია ალექსანდრეს ასული და კახკახიშვილები ეკატერინე და თამარი ალექსანდრეს ასულნი: ერთ-სართულიანი სახლი, მარანი, ამბარი და საჯინიბო, მიწა ზომით 570 ოთხ-კუთხი საჟ., ანუ რამდენიც აღმოჩნდება ქ. თელავში. თავ. ვალი 1924 მ. 52 კ. გარდ. ვალი 183 მ. 90 კ., სულ 2108 მ. 51 კ.

ზუბიკვისა. გაბრიელ იოსების ძისა: ორ-სართულიანი სახლი, ასეთივე ფლიგელი, მიწა ზომით 113 საჟ., ანუ რამდენიც აღმოჩნდება ქ. გორში მეფის ქუჩაზედ. თავ. ვალი 3872 მ. 24 კ., გარდ. ვალი 266 მ. 23 კ., სულ 4138 მ. 47 კ.

მელიქოვისა, ელისაბედ არტემის ასულისა: ორ-სართულიანი სახლი და ასეთივე ფლიგელი, მიწა ზომით 80 ოთხ-კუთხი საჟ. ქ. ტფილისის მე-9 ნაწილში წყლის პირის ქუჩაზედ, მიხეილის ხიდის მახლობლად. თავ. ვალი 14520 მ. 91 კ., გარდ. ვალი 581 მ. 49 კ., სულ 15102 მ. 10 კ.

სოფლის მამულები:

ა) რომელზედაც გაცემულია ხანგრძლივი სესხი.

ქობულაშვილებისა: სოლომონ, იოსებ და ზაქარია ადამის ძეთ: სახნავი, საძოვარი ადგილები და ტყე; მიწა ზომით 823 დეს. 1,200 ოთხ-კუთხი საჟ. ტფილ. გუბ. თელავის მაზ. სოფ. კონდოლში. თავ. ვალი 8271 მ. 02 კ., გარ. ვალი 731 მ. 32 კ., სულ 9002 მ. 34 კ.

ჯანდიერისა, ლევან გიორგის ძისა (ვაჭრობით შეძენილი ავალიშვილის დავით ივანეს ძის მიერ): სახნავი მიწები; ზომით 35 დეს., ტფ. გუბ. სიღნაღის მაზ. სოფ. ჩუმლაყში. თავ. ვალი 1010 მ. 18 კ., გარ. ვალი 239 მ. 58 კ., სულ 1249 მ. 76 კ.

თარხან-მოურავებისა, არჩილ ლევანის ძისა და ივანე ბესარიონის ძისა: სახნავი, საძოვარი ადგილები და ტყე, მიწა ზომით 86 დეს. 140 ოთხ-კუთხი საჟ. ტფილ. გუბ., გორის მაზ. სოფ. გომის-ჯვარში. თავნი ვალი 928—31, გ. ვ. 64—57, სულ 992—88.

კრისთავისა, იასონ გიორგის ძისა: სახნავი ადგილები და ტყე, მიწა ზომით 131 დეს. 1980 ოთხ-კუთხი საჟ. ტფილ. გუბ., თელავის მაზრ. აგარ. ქისტაურსა და ბოსტანაში. სოფ. ალბაანთან. თავ. ვალი 2343 მ. 02 კ., გარდ. ვალი 212 მ. 62 კ., სულ 2555 მ. 64 კ.

ჯორჯაძისა, ივანე გიორგის ძისა: სახნავი, საძოვარი მიწები, ტყე და ბაღები. მიწა ზომით: დაფასების აქტით 444 დეს. 200 ოთხ-კუთ. საჟ., ხოლო გირავნობის მოწმობით 420 დეს. 200 ოთხ კუთხი საჟ., ტფილ. გუბ. სიღნაღის მაზ., აგარ. გურჯაან სა, ბარემ-კარსა და ქაიბანში. თავ. ვალი 7875 მ. 16 კ., გარდ. ვალი 561 მ. 94 კ., სულ 8437 მ. 10 კ. და შელავ. გარდ. ვალი 146 მ. 66 კ. თანასწორ განაწილებული დანარჩენ 4 ნახევარ წლად.

ფარსაშვილისა, დავით ბარამის ძისა, სამოსახლო, საბაღე ადგილები და ტყე, მიწა ზომით 23 დეს. 745 ოთხ-კუთხ. საჟ. ტფილ. გუბ., დუშეთის მაზ., სოფ. ქილურთში. თავ ვალი 1378 მ. 17 კ., გარდ. ვალი 89 მ. 46 კ., სულ 1467 მ. 63 კ.

გახკახიშვილებისა, ალექსანდრე, დავით და სიმონ რევაზის ძეთა: სახნავი, საძოვარი, საბაღე ადგილები და ტყე, მიწა ზომით 986 დეს., 500 ოთხ-კუთხ. საჟ., ტფილ. გუბ., თელავის მაზ., აგარ. შილდასა და ჭალთის მინდორში. თავ. ვალი 16761 მ. 96 კ., გარდ. ვალი 1161 მ. 15 კ., სულ 17923 მ. 11 კ. და შელავ. გარდ. ვალი 71 მ., დარჩენილი ერთ ნახევარ წლად.

წინამძღვარიშვილისა, ნიკოლოოზ ტროფიმეს ძისა. სახნავი, სამოსახლე და საბაღე ადგილები, ბაღები და ტყე, მიწა ზომით 43 დეს. 1610 ოთხ-კუთხი საჟ. ტფილ. გუბ., გორის მაზრ., აგარ. წრომში. თავ. ვალი 1577 მ. 59 კ., გარდ. ვალი 101 მ. 16 კ., სულ 1678 მ. 75 კ.

კახკახიშვილისა, რევაზ ზაალის ძისა: სახნავი, საძოვარი, სათიბი, სამოსახლო ადგილები, ბაღები და ტყე, მიწა ზომით 213 დეს., 1930 ოთხ-კუთ. საჟ., ანუ რამდენიც აღმოჩნდება ტფილ. გუბ., თელავის მაზ., აგარ. ლალის-ყურსა და კურდღელაურსა. თავ. ვალი 8873 მ. 96 კ., გარდ. ვალი 538 მ. 72 კ., სულ 9412 მ. 68 კ.

ჯორჯაძისა, ივანე გიორგის ძისა: სახნავი, საძოვარი, სამოსახლო ადგილები, ტყე და ბაღი, მიწა ზომით 273 დეს., 2272 ოთხ-კუთხი საჟ., ტფილ. გუბ., სიღნაღის მაზ. აგარ. გურჯაანში და ბარემკაში. თავნი ვალი 4436 მ. 99 კ. გარდ. ვალი 318 მ. 08 კ., სულ 4755 მ. 07 კ. და შემ. გარ. ვალი 82 მ. 49 კ., ვალ. გან. დან. 4 ნახევარ წლად.

ამირაჯიბისა, ლევან კონსტანტინეს ძისა: სახნავი, საძოვარი, სამოსახლო ადგილები და ტყე, მიწა ზომით 807 დეს. 970 ოთხ კუთხი საჟ. ტფილ. გუბ., გორის მაზ., აგარ. ულუმბიაში. თავ. ვალი 9859 მ. 96 კ., გარდ. ვალი 519 მ. 02 კ., სულ 10378 მ. 98 კ.

კახკახიშვილისა, გიორგი სულხანის ძისა: სახნავი, საძოვარი და საბაღე ადგილები, მიწა ზომით 87 დეს. 1200 ოთხ-კუთხი საჟ. ტფილ. გუბ. თელავის მაზ., აგარ. კურდღელაურში. თავ. ვალი 3944 მ., გარდ. ვალი 205 მ. 74 კ., სულ 4149 მ. 74 კ. და შემოს. გარდ. ვალი 146 მ. 66 კ., თანას. გან. დან. 4 ნახ. წლად.

კახკახიშვილისა, გიორგი სულხანის ძისა: სახნავი ადგილები და ტყე, მიწა ზომით 47 დეს. 1420 ოთხ-კუთ. საჟ. ტფილ. გუბ., თელავის მაზ., სოფ. კურდღელაურთან. თავ. ვალი 986 მ., გარდ. ვალი 56 მ. 70 კ., სულ 1042 მ. 70 კ. და შელ. გარდ. ვალი 36 მ. 67 კ., თან. გან. დან. 4 ნახ. წლ.

კახკახიშვილისა, გიორგი სულხანის ძისა: სახნავი, საძოვარი ადგილები და ტყე, მიწა ზომით 101 დეს. 1660 ოთხ-კუთხ. საჟ. ტფ. გუბ., თელავის მაზ., აგარ. ლალის-ყურში. თავნი ვალი 2957 მ. 99 კ., გარდ. ვალი 156 მ. 7 კ., სუ 3114 მ. 6 კ. და შემ. გარდ. ვალი 110 მ., თან. გან. დან. 4 ნახ. წლად.

ანდრონიკაშვილისა, ალექსანდრე გიორგის ძისა: სათიბი და საძოვარი ადგილი, მიწა ზომით 174 დეს. 970 ოთხ-კუთხ. საჟ. ტფილ. გუბ., სიღნაღის მაზ., აგარ. ზიარში. თავ. ვალი 3155 მ. 20 კ., გარ. ვალი 195 მ. 42 კ., სულ 3350 მ. 52 კ.

ყარალაშვილისა, არჩილ ივანეს ძისა: სახნავი, საბაღე ადგილები და ტყე, მიწა ზომით 128 დეს. 1490 ოთხ-კუთხი საჟ. ტფილ. გუბ., თელავის მაზ., აგარ. არტაანში. თავ. ვალი 5925 მან. 32. კაპ., გარდ. ვალი 392 მან. 10 კაპ., სულ 6317 მან. 42 კაპ.

ყარალაშვილისა, რევაზ მიხეილის ძისა და მაყაშვილისა, ბარბარე მიხეილის ასულისა: სახნავი, საძოვარი, საბაღე ადგილები და ტყე, მიწა ზომით 120 დეს., 640 ოთხ-კუთხი საჟ., ტფილ. გუბ., თელავის მაზ., აგარ. არტაანში. თავ . ვალი 6725 მ. 75 კ., გარ. ვალი 450 მ. 08 კ. სულ 7175 მ. 83 კ.

ჩერქეზიშვილისა. დარია ალექსანდრეს ასულისა და კახკახიშვილებისა, თამარა და ეკატერინე ალექსანდრეს ასულებისა: სახნავი, საძოვარი ადგილები და ბაღები, მიწა ზომით 114 დეს. 1490 ოთხ-კუთხი საჟ. ტფილ. გუბ., თელავის მაზ., აგარ. კურდღელაურში. თავ. ვალი 3956 მ. 33 კ., გარ. ვალი 263 მ. 70 კ. სულ 4220 მ. 3 კ.

თარხან-მოურავისა, გიორგი, ალექსანდრე, ილია და ნიკოლოოზ(იგივე კონსტანტინე), ივანეს ძეთა და ნინო ივანეს ასულისა, მაღალაშვილისა ანნა ივანეს ასულისა და კეზელისა ალექსანდრა ივანეს ასულისა: სახნავი, სათიბი ადგილები და ტყე, მიწა ზომით 488 დეს. 220 ოთხ-კუთხ. საჟ. ტფილ. გუბ., გორის მაზ., სოფ. სათარხნო მამულში. თავ. ვალი 3956 მ. 33 კ., გარ. ვალი 305 მ. 10 კ. სულ 4261 მ. 43 კ.

მუხრან-ბატონთა, გიორგი და კონსტანტინე ალექსანდრეს ძეთა: სახნავი და საძოვარი ადგილები, მიწა ზომით 16 დეს. 1100 ოთხ-კუთხ. საჟ. ტფილ. გუბ., დუშეთის მაზ., აგარ. ქსოვრისში. თავ. ვალი 496 მ. 1 კ., გარ. ვალი 39 მ. 10 კ. სულ 535მ. 11 კ.

ქობულაშვილებისა, იოსებ და სოლომონ ადამის ძეთა და მარიამ ზაქარიას ასულისა: საძოვარი ადგილები და ტყე, მიწა ზომით 1735 დეს. 2110 ოთხ კუთხი საჟ. ტფილ. გუბ., თელავის მაზ., სოფ. კისისხევთან. თავ. ვალი 16864 მ. 31 კ., გარ. ვალი 1009 მ. 52 კ. სულ 17873 მ. 83 კ.

კახკახიშვილისა, ნინო დავითის ასულისა: ტყე, ზომით 38 დეს. 900 ოთხ-კუთხი საჟ. ტფილ. გუბ., თელავის მაზ., თელავის სატყეო აგარაკში, თავ. ვალი 397 მ. 37 კ., გარ. ვალი 32 მ. 68 კ. სულ 430 მ. 5 კ.

კახკახიშვილისა, დიმიტრი ზაალის ძისა: სახნავი, საძოვარი, სამოსახლო ადგილები, ბაღები და ტყე, მიწა ზომით 100 დეს. 1880 ოთხ-კუთხი საჟ., ანუ რამდენიც აღმოჩნდება, ტფილ. გუბ., თელავის მაზ., აგარ. კურდღელაურში. თავ. ვალი 4371 მ. 09 კ., გარ. ვალი 297 მ. 4 კ. სულ 4668 მ. 13 კ.

ბ) რომელზედაც გაცემულია ხან მოკლე ვადიანი სესხი:

ავალიშვილისა, დავით ივანეს ძისა: ვენახი, მიწა ზომით 4 დეს. ტფილისის გუბ., სიღნაღის მაზ., სოფ. ჩუმლაყთან. თავ. ვალი 1900 მ., გარ. ვალი 288 მ. 86 კ. სულ 2188 მ. 86 კ.

ჯორჯაძეებისა, მიხეილ ნოდარის ძისა და კონსტანტინე სოლომონის ძისა: ვენახი, მიწა ზომით 3 დეს. 2160 ოთხ-კუთხი საჟ. ტფილ. გუბ., თელავის მაზ., სოფ. საბუეში. თავ. ვალი 2000 მ., გარ. ვალი 233 მ. სულ 2233 მ.

აბაშიძისა, ალექსანდრე დიმიტრის ძისა (ვაჭრობით შეძენილი ამალია იოსების ასულის აბაშიძის მიერ) ვენახი, მიწა ზომით 2 დეს. 1800 ოთხ-კუთხი საჟ. ტფილ. გუბ., სიღნაღის მაზ., სოფ. გურჯაანში. თავ. ვალი 1800 მ., გარ. ვალი 103 მ. 30 კ. სულ 1903 მ. 30 კ.

აბხაზისა, თინათინა ივანეს ასულისა: ვენახი, სამოსახლო ადგილები და შენობანი, მიწა ზომით 4 დეს. 527 ოთხ-კუთხი საჟ. ტფილ. გუბ., თელავის მაზ., სოფ. ძველგავაზთან. თავ. ვალი 2000 მ., გარ. ვალი 114 მ. სულ 2114 მ.

რუსიევისა, ალექსანდრე თამაზის ძისა: ვენახი, მიწა ზომით $2^3/_4$ დეს., ანუ რამდენიც აღმოჩნდება ტფილ. გუბ., თელავის მაზრის, აგარ. კურდღელაურში. თავ. ვალი 1400 მ. გარდ. 88 მ. 46 კ., სულ 1488 მ. 46 კ.

ჯორჯაძისა, ნოდარ მიხეილის ძისა: საძოვარი ადგილები და ტყე, მიწა ზომით 179 დეს. 1555 ოთხ-კუთხი საჟ. ტფილისის გუბ., თელავის მაზ., სოფ. საბუეში. თ. ვ. 500 მ., გ. ვ. 33 მან. 82, კაპ., სულ 533 მან. 82 კაპ.,

ჯანდიერისა, სალომე სიმონის ასულისა: 2 ვენახი, მიწა ზომით 6 დეს. ტფილ. გუბ., თელავის მაზ., სოფ. ვაჩნაძიანში. თავ. ვალი 1200 მან., გარდ. ვალი 187 მან. 40 კაპ., სულ 1387 მან. 40 კაპ.

აბაშიძისა, ივანე დიმიტრის ძისა: (ვაჭრობით შეძენილი ამალია იოსების ასულის აბაშიძის მიერ) ვენახი, მიწა ზომით 2 დეს. 1800 ოთხ-კუთხი საჟ. ტფილ. გუბ., სიღნაღის მაზ., სოფ. გურჯაანთან. თავ. ვალი 1800 მან. გარდ. ვალი 103 მან. 30 კაპ., სულ 1903 მან. 30 კაპ.

აბხაზისა, კონსტანტინე ნიკოლოოზის ძისა: ვენახი და სამოსახლო ადგილები, მიწა ზომით 5 დეს. 50 ოთხ-კუთხი საჟ. ტფილ. გუბ., სიღნაღის მაზ., აგარ. კარდანახში. თავ. ვალი 1700 მან. გარდ. ვალი 153 მან. 32 კ. სულ 1853 მან. 32 კ.

ჩერქეზიშვილისა, დარია ალექსანდრეს ასულისა, აბაშიძისა თამარა ალექსანდრეს ასულისა და კახკახიშვილისა ეკატერინე ალექსანდრეს ასულისა: სახნავი, საძოვარი ადგილები და ბაღი, მიწა ზომით 7 დეს. 390 ოთხ-კუთხი საჟ. ტფილ. გუბ., თელავის მაზ., აგარ კურდღელაურში. თავ. ვალი 800 მან. გარდ. ვალი 49 მან. 80 კაპ., სულ 849 მან. 80 კაპ.

ჯანდიერისა, ვლადიმერ ივანეს ძისა: ვენახი, მიწა ზომით 3 დეს. 1100 ოთხ-კუთხი საჟ. ტფილ. გუბ., თელავის მაზ., სოფ. ვაჩნაძიანში. თავ. ვალი 1900 მან. გარდ. ვალი 117 მან. 39 კაპ., სულ 2017 მან. 39 კაპ.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. ვისაც სურს ვაჭრობა მამულებისა, მოკლე ვადიანის სესხით დაგირავებულისა, უნდა წარმოადგინოს ვაჭრობის დროს გარდა შემოსატან გარდასახადისა აგრეთვე 10% ბანკიდგან გატანილ თავნის ვალისა. (3—6.—3)

Дозволено цензурою, Тифлисъ 20-го Сентября 1897 г.

სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა.

რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.